პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N----

ქ. ოზურგეთი „—“ აპრილი 2018 წელი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა
და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა
და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18
იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ და „დ.ე.“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***დაადგინა:***

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 22/01/2018 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016325) და დადგენილებით დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და მერიის საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **დავით დარჩია**

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ და „დ.ე.“ ქვეპუნქტები, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

ა.ბ) წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში მოდის „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილებასა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან პროფესიული საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში განაწილების კუთხით.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 10 მაისი.